

Zurab Kevanishvili

Curriculum Vitae

Zurab Kevanishvili's, ZK's, birthday is March 15, 1941. In 1958 he graduated Tbilisi 53rd Secondary School with the Gold Medal, and in 1965 Tbilisi State Medical Institute with the honor dignity. In 1965-1968 ZK passed the post-graduate study course at Institute of Physiology of Georgian Academy of Sciences. Since 1968 up today he works at Tbilisi National Centre of Audiology as the scientific researcher, head of department (1975), and director (1989). In parallel, ZK has been included in Otorhinolaryngology Chair of Tbilisi State Medical Academy in the position of docent (1979) and of professor (1985) as well as in Otorhinolaryngology Course of Tbilisi *Ivane Javakhishvili* State University in that of professor (1996). The thesis for attaining the scientific degree of Candidate of Medical Sciences he fulfilled in 1969, while of Doctor of Medical Sciences in 1985. The assessment of the role of corpus callosum in interactions of cerebral hemispheres was the principal aim of the first dissertation, while the doctoral thesis devoted to the features and clinical applications of human auditory evoked potentials. In 1979 ZK got the title of Senior Scientific Researcher, in 1983 of Docent, and in 1985 of Professor. In 2009 he was elected in Georgian National Academy of Sciences as a Corresponding Member, and in 2018 as a Full Member. Due to the successful scientific, medical, and pedagogical activities, the Georgian government rewarded ZK by Honorary Order in 1985, Dignity Order in 1986, and Century Medal in 2017.

ZK is co-author of three monographs: (1) Mosidze V, Rizhinashvili R, Totibadze N, Kevanishvili Z, Akbardia K. *The Split Brain*. Tbilisi, 1972 (in Russ.); (2) Khechinashvili S, Kevanishvili Z. *Human Auditory Evoked Potentials*. Tbilisi, 1985 (in Russ.); (3) Japaridze Sh, Gamgebeli Z, Miminoshvili D, Kevanishvili Z. *Cochlear Implantation in Georgia: Theoretical and Practical Efforts*. Tbilisi, 2011 (in Georg.). The first and second monographs were honored by *Ivane Tharkhnishvili* and *Ivane Beritashvili* premiums of Georgian National Academy of Sciences, respectively, while the third along with 72 papers published mostly in international periodicals was accounted by National Prize of Georgia. ZK is also the author/co-author of three scientific booklets and of 397 scientific papers. 188 from are published in English, 103 – in Russian, 72 – in Georgian, 33 – in German, and one – in Bulgarian: 47.4%, 25.9%, 18.1%, 8.3%, and 0.3%, respectively. Impressive numbers in the sum of 220 English and German papers are published in high-impact factored international journals, particularly in: *Nature (London)*, *Electroencephalography and Clinical Neurophysiology*, *Acta Otolaryngologica (Stockholm)*, *Scandinavian Audiology*, *Physiology of Behavior*, *Minerva Otorhinolaryngologica*, *British Journal of Audiology*, *HNO*, *HNO Praxis*, *Archives of Oto-Rhino-Laryngology*, *Audiologische Akustik*, *ORL*, *Seizure*, *Epilepsia*, *Otolaryngology of Poland*, *Audiology*, *Iranian Audiology*, *European Journal of Neurology*, *Laryngo-Rhino-Otology*, *American Journal of Otology*, *Acta Neurologica*

Scandinavica, Medical Hypotheses, Journal of Hearing Sciences, Otorhinolaryngology and Phoniatry, Ear and Hearing, Issues of Theoretical and Clinical Medicine, Experimental and Clinical Medicine, HÓRaspekte, Hearing Research. Some articles as the separate chapters are presented in scientific books, for example in: *Cochleafunktion. Forschung und Klinik* (Halle, 1976), *Mathematical Approaches to Brain Functioning Diagnostics* (Manchester, New York, 1991), *Acoustical Signal Processing in the Central Auditory System* (New York, London, 1997), *Actual Problems of Biology and Medicine* (Tbilisi, 2001), *Biophysics of Cochlea from Molecules to Models* (New Jersey, London, Singapore, Hong Kong, 2003), *Cochlear Implants International* (Warsaw, 2009). 144 papers are fulfilled in co-authorships with foreign audiologists. The co-authors of 127 from are Germans. For publications in central English periodicals ZK was honored in 1993 by International Science Federation Premium (*George Soros Fund*). ZK's scientific production covers physiology and/or applied physiology of auditory system. He participated in many international scientific meetings. Some from were organized and/or coordinated by him. Regularly and mostly for a long time ZK worked in German audiological/otorhinolaryngological institutions. He was engaged in particular in those of Magdeburg, Dresden, Munich, Erfurt, Berlin, and Erlangen. German audiologists/otorhinolaryngologists are also systematically visiting Tbilisi. They are used to participate in local scientific researches, to create common scientific papers, to earn experimental materials for dissertations, and to carry out for local audiologists/otorhinolaryngologists educational or educational-surgery courses.

ZK is the president of *Simon Khechinashvili* Association of Georgian Otorhinolaryngologists, the member of the Manager Council of *Ivane Beritashvili* Society of Georgian Physiologists, the member of Manager Council of Georgian Branch of International Brain Research Organization - IBRO, expert of Ministry of Labor, Health and Welfare of Georgia in otology, medical adviser of USA Embassy in Tbilisi. He is the member, or associated member, or corresponding member of some foreign organizations: Die Physikalisch-Medicinische Societät zu Erlangen, Collegium Oto-Rhino-Laryngologicum Amicitiae Sacrum, Acoustic Society of America - ASA, Die Deutscher Gesellschaft für Hals-Nasen-Ohren-Heilkunde, Kopf- und Hals-Chirurgie, Der Verein zur Vissenschaftlichen Förderung der Hals-, Nasen- und Ohrenheilkunde e.V. zu Halberstadt. He was founder and chief-editor of *Journal of Georgian Medicine*. At present, ZK is the member of editorial boards of journals: *Georgian Medical News* and *Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, Biomedical Series*. He is also the member of the advisers of the international journal *The Open Otorhinolaryngology Journal*, published in United States of America. ZK was the manager, or co-manager, or consultant of 15 dissertations. Among dissertation followers four were Germans. He regularly participates in international or local grant projects concerning human auditory system. ZK is included also in long-

term state local program regarding universal hearing screening in newborns. The implementation of hearing aids of well-known German Kind-Hörgeräte Company in Georgia while under economically cheaper, i.e. advantageous conditions for hearing-loss local inhabitants is the consequence of regular and successful relationships of ZK just with German audiologists/otorhinolaryngologists.

ზ უ რ ა ბ ქ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს

Curriculum Vitae

დაიბადა 1941 წლის 15 მარტს თბილისში. 1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, 1965 წელს წარჩინებით – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1965-1968 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1968 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში მეცნიერ-მუშაკად, განყოფილების გამგედ (1975), დირექტორად (1989). პარალელურად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ოტორინოლარინგოლოგიის კათედრაზე როგორც დოცენტი (1979), როგორც პროფესორი (1985), აგრეთვე *ივანე ჯავახიშვილის* სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კურსზე როგორც პროფესორი (1996). მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია 1969 წელს, დოქტორისა – 1982 წელს დაიცვა. საკანდიდატო დისერტაციის მიზანს თავის ტვინის ჰემისფეროთა ურთიერთობებში კორპიანი სხეულის მნიშვნელობის გარკვევა წარმოადგენდა, სადოქტოროში კი ადამიანის სმენის გამომწვეული პოტენციალები იქნენ შესწავლილნი. 1979 წელს უფროსი მეცნიერი მუშაკის, 1983 წელს – დოცენტის, 1985 წელს – პროფესორის წოდება მიენიჭა. 2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2018 წელს – ნამდვილ წევრად იქნა არჩეული. წარმატებული სამეცნიერო, სამედიცინო, პედაგოგიური მუშაობისათვის 1986 წელს *საპატიო ნიშნის ორდენით*, 2001 წელს – *ღირსების ორდენით*, 2017 წელს – *საუკუნის ვარსკვლავის მედლით* დაჯილდოვდა.

არის სამი მონოგრაფიის თანაავტორი: (1) Мосидзе ВМ, Рижинашвили РС, Тотибадзе НК, Кеванишвили ЗШ, Акбардия КК. *Расщепленный мозг*. Тбилиси, 1972; (2) Хечинашвили СН, Кеванишвили ЗШ. *Слуховые вызванные потенциалы человека*. Тбилиси, 1985. (3) ჯავახიშვილი ივ, გამგებელი ზ, მიმინოშვილი დ, ქევანიშვილი ზ. *კონსულტაციური იმპლანტაცია საქართველოში: თეორიული და პრაქტიკული ძალისხმევები*. თბილისი, 2011. პირველი მონოგრაფია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *ივანე თარხნიშვილის*, მეორე – *ივანე ბერიტაშვილის* სახელობის პრემიით დაჯილდოვდა. მესამეს, მეტწილად საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებულ 72 ნაშრომთან კომბინაციაში საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭა. *ზურაბ ქევანიშვილი* არის აგრეთვე სამი სამეცნიერო ბუკეტის და 397 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი/თანაავტორი. ნაშრომთგან 188

– ინგლისურ, 103 – რუსულ, 72 – ქართულ, 33 – გერმანულ, ერთი – ბულგარულ ენაზე არის გამოქვეყნებული: შესაბამისად 47.4%, 25.9%, 18.1%, 8.3%, 0.3%. ჯამში 220 ინგლისურ- და გერმანულენოვან სტატიათდაგან ბევრი მაღალი იმპაქტ-ფაქტორის საერთაშორისო გამოცემებში არის წარმოდგენილი, მათ შორის, ჟურნალებში: *Nature (London)*, *Electroencephalography and Clinical Neurophysiology*, *Acta Otolaryngologica (Stockholm)*, *Scandinavian Audiology*, *Physiology of Behaviour*, *Minerva Otorhinolaryngologica*, *British Journal of Audiology*, *HNO*, *HNO Praxis*, *Archives of Oto-Rhino-Laryngology*, *ORL*, *Audiologische Akustik*, *Seizure*, *Epilepsia*, *Otolaryngology of Poland*, *Audiology*, *Iranian Audiology*, *European Journal of Neurology*, *Laryngo-Rhino-Otology*, *American Journal of Otology*, *Acta Neurologica Scandinavica*, *Medical Hypotheses*, *Journal of Hearing Sciences*, *Otorhinolaryngology and Phoniatriy*, *Ear and Hearing*, *Issues of Theoretical and Clinical Medicine*, *Experimental and Clinical Medicine*, *HÖRaspekte*, *Hearing Research*. რამდენიმე ნაშრომი სამეცნიერო წიგნებში არის ცალკეულ თავებად პრეზენტირებული, მაგალითად, კრებულებში: *Cochlea-funktion. Forschung und Klinik (Halle: Saale, 1976)*, *Mathematical Approaches to Brain Functioning Diagnostics (Manchester, New York, 1991)*, *Acoustical Signal Processing in the Central Auditory System (New York, London, 1997)*, *Actual Problems of Biology and Medicine (Tbilisi, 2001)*, *Biophysics of Cochlea from Molecules to Models (New Jersey, London, Singapore, Hong Kong, 2003)*, *Cochlear Implants International (Warsaw, 2009)*. 144 ნაშრომი საზღვარგარეთის, მათგან 127 – გერმანულ აუდიოლოგებთან თანაავტორობით აქვს შესრულებული. საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში დასტამბული ნაშრომებისათვის 1993 წელს *International Science Foundation*-ის პრემიით (*ჟორჯ სოროსის* ფონდი) დაჯილდოვდა. მისი მეცნიერული საქმიანობის პროდუქცია სმენის სისტემის ფიზიოლოგიის და/ან გამოყენებითი ფიზიოლოგიის (*applied physiology*) სფეროს განეკუთვნება. მონაწილეობდა მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მუშაობაში. რამდენიმეს ორგანიზატორი და/ან კოორდინატორი თავად იყო. ხშირად და ხანგრძლივი დროითი პერიოდებით იმყოფებოდა სამეცნიერო-სამუშაო მივლინებებით გერმანიაში. უმუშავია ქალაქებში: მაგდებურგი, დრეზდენი, მიუნხენი, ერფურტი, ბერლინი, ერლანგენი. გერმანელებიც სისტემატურად სტუმრობენ მისი მოწვევით თბილისს: კვლევებში მონაწილეობენ, სამეცნიერო ნაშრომებს ასრულებენ, სასწავლო, სასწავლო-საოპერაციო კურსებს ატარებენ.

არის *სიმონ ხეჩინაშვილის* სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, *ივანე ბერიტაშვილის* სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების მმართველი საბჭოს წევრი, *International Brain Research Organi-*

zation, IBRO-ს საქართველოს ფილიალის მმართველი საბჭოს წევრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ოტოლოგიაში, თბილისში აშშ-ს საელჩოს სამედიცინო მრჩეველი. არის წევრი / ასოცირებული წევრი / წევრ-კორესპონდენტი საერთაშორისო ორგანიზაციებისა: *Die Physikalisch-Medicinische Societät zu Erlangen, Collegium Oto-Rhino-Laryngologicum Amicitiae Sacrum, Acoustic Society of America - ASA, Die Deutscher Gesellschaft für Hals-Nasen-Ohren-Heilkunde, Kopf- und Hals-Chirurgie, Der Verein zur Vissenschaftlichen Förderung der Hals-, Nasen- und Ohrenheilkunde e.V. zu Halberstadt*. იყო *Journal of Georgian Medicine*-ს დამაარსებელი და რედაქტორი. ამჟამად არის სარედაქციო კოლეგიების წევრი ჟურნალებისა: *Georgian Medical News* და *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია*. არის აგრეთვე *The Open Otorhinolaryngology Journal*-ის, აშშ-ში გამომაველი საერთაშორისო ჟურნალის მრჩეველთა საბჭოს წევრი. იყო 15, მათგან 4 – გერმანელების მიერ შესრულებულ დისერტაციათა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი/კონსულტანტი. რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო თუ ადგილობრივ გრანტულ პროექტებში. ჩართულია სახელმწიფო პროგრამებში. მნიშვნელოვნად დაბალ ფასებში გერმანული კომპანიის სასმენი აპარატების იმპლემენტაცია საქართველოში გერმანიასთან მისი ურთიერთობების შედეგია.

Desktop: Akademia (yellow), file: kevan_CV_2019, p. 7

datogagua2009@gmail.com

ZuKe CV: English + Georgian

ბატონო დათო,

წარმოგიდგენთ ჩემი CV-ის ინგლისურ ვერსიას. პარალელურად გაწვდით მის ქართულ ანალოგსაც, რომელიც მხოლოდ მოცულობით, პრინციპულად კი არ განსხვავდება ადრემოწოდებული ქართულისაგან. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, ახლამოწოდებულ ინგლისურ და ადრემოწოდებული ქართულის შეწყვილება იქნებოდა რაციონალური: უფრო ფართო ფორმატის ქართულენოვანი – ქართველი (თუ ასეთი იქნება), ინგლისურენოვანი – საერთაშორისო (თუ ასეთი იქნება) მკითხველთათვის იქნებოდა უფრო მისაღები. თუ ამის საჭიროება კიდევ არსებობს, მოგაწვდით ფოტოსურათსაც. შავ-თეთრი თუ ფერადი წარმოგიდგინოთ? იმეილით გადმოგიგზავნოთ თუ აკადემიაში გაახლოთ? საკმარისი იქნება თუ არა ერთი ცალი? მადლობელი ვიქნები, მესიჯის მიღებას ტელეფონით თუ დამიდასტურებთ: 223 13 16.

ბოდიშები შეწუხებებისათვის.

პატივისცემით,

ზუქე

ზ უ რ ა ბ ქ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

Curriculum Vitae

დაიბადა 1941 წელს 15 მარტს თბილისში. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, 1965 წელს წარჩინებით – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1965-1968 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1969 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში მეცნიერ-მუშაკად, ელექტროფიზიოლოგიური განყოფილების გამგედ (1975), დირექტორად (1989). პარალელურად მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ოტორინოლარინგოლოგიის კათედრაზე როგორც დოცენტი (1979), როგორც პროფესორი (1983), აგრეთვე *ივანე ჯავახიშვილის* სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კურსზე როგორც პროფესორი (1996). მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია 1969 წელს, დოქტორისა – 1982 წელს დაიცვა. საკანდიდატო დისერტაციის მიზანს თავის ტვინის ჰემისფეროთა ურთიერთობებში კორძიანი სხეულის მნიშვნელობის გარკვევა წარმოადგენდა. სადოქტორო დისერტაცია ადამიანის სმენის გამოწვეული პოტენციალების შესწავლას მიეძღვნა. 1979 წელს უფროსი მეცნიერი მუშაკის, 1983 წელს – დოცენტის, 1985 წელს – პროფესორის წოდება მიენიჭა. 2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2018 წელს ნამდვილ წევრად იქნა არჩეული. წარმატებული სამეცნიერო, სამედიცინო, პედაგოგიური მუშაობისთვის 1986 წელს საპატიო ნიშნის ორდენით, 2001 წელს – ღირსების ორდენით, 2017 წელს – საუკუნის ვარსკვლავის მედლით დაჯილდოვდა.

არის სამი მონოგრაფიის თანაავტორი: (1) Мосидзе ВМ, Рижинашвили РС, Тотибадзе НК, Кеванишвили ЗШ, Акбардия КК. *Расщепленный мозг*. Тбилиси, 1972; (2) Хечинашвили СН, Кеванишвили ЗШ. *Слуховые вызванные потенциалы человека*. Тбилиси, 1985; (3) ჯაფარიძე შ, გამგებელი ზ, მიმინოშვილი დ, ქევანიშვილი ზ. *კოხლეარული იმპლანტაცია საქართველოში: თეორიული და პრაქტიკული ძაღისხმევები*. თბილისი, 2011. პირველი მონოგრაფია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის *ივანე თარხნიშვილის*, მეორე – *ივანე ბერიტაშვილის* სახელობის პრემიით დაჯილდოვდა. მესამე მონოგრაფიას, *ზურაბ ქევანიშვილის* ავტორობით/თანაავტორობით შესრულებულ, უპირატესად ცენტრალურ საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებულ 72 ნაშრომთან

კომბინაციაში 2012 წელს საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭა. არის აგრეთვე სამი ბუკლეტის და 396 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი/თანაავტორი. ნაშრომთაგან 187 ინგლისურ, 103 – რუსულ, 72 – ქართულ, 33 – გერმანულ, ერთი – ბულგარულ ენაზე არის გამოქვეყნებული: შესაბამისად 47.2%, 26.0%, 18.2%, 8.3%, 0.3%. ჯამში 220 ინგლისურ- და გერმანულენოვანი სტატიიდან ბევრი მაღალი იმპაქტ-ფაქტორის საერთაშორისო გამოცემებში არის წარმოდგენილი, მათ შორის, ჟურნალებში: *Nature (London)*, *Electroencephalography and Clinical Neurophysiology*, *Acta Otolaryngologica (Stockholm)*, *Scandinavian Audiology*, *Physiology of Behaviour*, *Minerva Otorhinolaryngologica*, *British Journal of Audiology*, *HNO*, *HNO Praxis*, *Archives of Oto-Rhino-Laryngology*, *ORL*, *Audiologische Akustik*, *Seizure*, *Epilepsia*, *Otolaryngology of Poland*, *Audiology*, *Iranian Audiology*, *European Journal of Neurology*, *Laryngo-Rhino-Otology*, *American Journal of Otology*, *Acta Neurologica Scandinavica*, *Medical Hypotheses*, *Journal of Hearing Sciences*, *Otorhinolaryngology and Phoniatry*, *Ear and Hearing*, *Issues of Theoretical and Clinical Medicine*, *Experimental and Clinical Medicine*, *HÖRaspekte*, *Hearing Research*. საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის დაჯილდოებულია *International Science Foundation*-ის პრემიით (*ჯორჯ სოროსის ფონდი*). *ზურაბ ქვეანიშვილის* თანაავტორობით რუსულ ენაზე შესრულებული ბევრი სტატია რუსეთის ასევე ცენტრალურ სამეცნიერო გამოცემებში არის დასტამბული. მისი მეცნიერული საქმიანობის პროდუქცია – დისერტაციები, მონოგრაფიები, ბუკლეტები, სტატიები – სმენის სისტემის ფიზიოლოგიის და/ან გამოყენებითი ფიზიოლოგიის სფეროს განეკუთნება.

ზურაბ ქვეანიშვილის ხელმძღვანელობით, უშუალო მონაწილეობით და რედაქტორობით ითარგმნა და დასასტამბად გამზადდა *ჰელბრიუგესა* და თანაავტ. წიგნი – *ბავშვის ცხოვრების პირველი 365 დღე*. ნათარგმნმა პოპულარობა მოიპოვა და საქართველოს წიგნის ბაზარზე ბესტსელერად იქცა. ამ წიგნის თარგმანი მრავალ სხვადასხვა ენაზე არსებობს. მიუნხენში ჩატარებულ ნათარგმნთა გამოფენა-პრეზენტაციაზე ქართული გამოცემა ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა მიჩნეული. *ზურაბ ქვეანიშვილი* იყო აგრეთვე რედაქტორი *სიმონ ხეჩინაშვილის* მონოგრაფიისა – *Вопросы аудиологии*.

სისტემატურად მონაწილეობს გრანტულ პროექტებში. ანნ არბორის (მიჩიგანი) უნივერსიტეტის კრესგის სახელობის სმენის კვლევის ინსტიტუტთან თანამშრომლობით თბილისის აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა *GRDF/CRDF*-ის გრანტული თემა სახელწოდებით: *Prevention of Aminoglycoside-Induced Ototoxicity by Vitamin E*. დრეხდენის ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიოლოგიის ლაბორატორიასთან კოოპერაციაში ასევე მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა

კომპანია Volkswagen-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული თემა: *The Bounce Phenomenon and the Tinnitus: Interrelationship and the Mechanisms Involved*. ბაუნსის (არეკვლის) პრობლემებზე მისი თანაავტორობით 19 ნაშრომი შესრულდა: 17 – ინგლისურ, თითო-თითო – ქართულ და რუსულ ენაზე. ინგლისურენოვანი ერთი სტატია *Hearing Research*-ში – პროფილის წამყვან საერთაშორისო ჟურნალში დაისტამბა. პარალელურად ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტში – *ახალშობილთა და პირველკლასელთა სმენის გამოკვლევა*. გერმანელი და ჰოლანდიელი კოლეგების მიერ საჩუქრად გადმოცემული სმენის სკრინინგის აპარატების გამოყენებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველად საქართველოში ინიცირდა სკრინინგული ტიპის სმენის მასობრივი გამოკვლევები ბავშვებში. 2006 წლიდან უკვე 400 000-ზე მეტ ახალშობილს და პირველკლასელს აქვს ჩატარებული აუდიოსკრინინგი თბილისში. სმენის დაქვეითების ადრეულ გამოვლენას და ჰაბილიტაციის/რეჰაბილიტაციის დროულ დაწყებას ბავშვის განვითარებისათვის და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. პროექტის თემატიკა, შესაბამისად, აქტუალურია, საერთოდ, სმენაჩლუნგობის მაღალი სიხშირის გამო საქართველოსათვის, განსაკუთრებით. სკრინინგის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში სმენა ახალშობილებში გამოწვეული პოტენციალების კომპიუტერული ჩანაწერებით, პირველკლასელებში – ტონალური აუდიომეტრით დეტალიზდება. პათოლოგიის დადასტურების შემთხვევაში, სმენა პრეცესიულად გამოიკვლევა და კონსტანტირებული სურათის გათვალისწინებით ჰაბილიტაციის/რეჰაბილიტაციის გეგმა მუშავდება, სასმენი აპარატი თუ კონსტრუქციული იმპლანტი შეირჩევა და პროგრამირდება. სმენის სკრინინგის პრობლემებზე *ზურაბ ქვეანიშვილის* თანაავტორობით 17 ნაშრომი არის შესრულებული: 9 – ინგლისურ, ოთხი – ქართულ, ორ-ორი – გერმანულ და რუსულ ენაზე.

არის *სიმონ ხეჩინაშვილის* სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, *ივანე ბერიტაშვილის* სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების მმართველი საბჭოს წევრი, ერლანგენის (გერმანია) ფიზიკურ-სამედიცინო საზოგადოების (*Die Physikalisch-Medicinische Societät zu Erlangen*) წევრ-კორესპონდენტი (1988), ოტორინოლარინგოლოგთა მსოფლიო კოლეგიის (*Collegium Oto-Rhino-Laryngologicum Amicitiae Sacrum*) წევრი (1994), ამერიკის აკუსტიკური საზოგადოების (*Acoustic Society of America, ASA*) ასოცირებული წევრი (1995), თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (*International Brain Research Organization, IBRO*) საქართველოს ფილიალის მმართველი საბჭოს წევრი (1996), გერმანიის ოტო-

რინოლარინგოლოგთა, თავისა და კისრის ქირურგთა საზოგადოების (*Die Deutscher Gesellschaft für Hals-Nasen-Ohren-Heilkunde, Kopf- und Hals-Chirurgie*) წევრ-კორესპონდენტი (1998), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ოტოლოგიაში (2004), თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამედიცინო მრჩეველი (2009), ჰალბერშტადტის (გერმანია) ოტორინოლარინგოლოგთა საზოგადოების (*Der Verein zur Wissenschaftlichen Förderung der Hals-, Nasen- und Ohrenheilkunde e.V*) საპატიო აკადემიური წევრი (2011). აქვს მჭიდრო კავშირები საზღვარგარეთის აუდიოლოგებთან. ხშირად და ხანგრძლივი პერიოდებით იმყოფება სამეცნიერო მივლინებებით გერმანიაში. ატარებს ერთობლივ კვლევებს. უმუშავია ქალაქებში: მაგდებურგი, ერლანგენი, ბერლინი, ერფურტი, დრეზდენი, მიუნხენი. საზღვარგარეთელ, ძირითადად გერმანელ კოლეგებთან თანაავტორობით 144 ნაშრომი აქვს შესრულებული. მათგან 74 – ინგლისურ, 32 – გერმანულ, 22 – რუსულ, 16 – ქართულ ენაზე არის გამოქვეყნებული: შესაბამისად 51.4%, 22.2% 15.3%, 11.1%. უშუალოდ ზურაბ ქვეანიშვილის მიერ ან თანამომხსენებლის სტატუსით მისი აქტიური ჩართულობის ფონზე კვლევის შედეგები ბევრ საერთაშორისო კონფერენციას, სიმპოზიუმს, კონგრესს, ყრილობას მოხსენდა, მათ შორის, ქალაქებში: კაუნასი, ვარნა, სოფია, ჰალე, დრეზდენი, აიზენახი, ილმენაუ, ვაიმარი, პოზნანი, პრატა, მაგდებურგი, ერფურტი, კრაკოვი, ბუდაპეშტი, სუზდალი, მანჰაიმი, ინსბრუკი, ანტვერპენი, ჰაიდელბერგი, ვენა, ბად ბერკა, ბარსელონა, ჰალბერშტადტი. რამდენიმე სამეცნიერო შეკრების, მათ შორის, გერმანიაში ჩატარებულის, ორგანიზატორი/კოორდინატორი თავად იყო. მის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ორი მასშტაბური სიმპოზიუმი შედგა გერმანიაში: ერთი – მაგდებურგში 2001 წელს, მეორე – დრეზდენში 2006 წელს. მისი მოწვევით გერმანელი სპეციალისტები რეგულარულად სტუმრობენ თბილისს, ერთობლივ კვლევებში მონაწილეობენ, სამეცნიერო, მათ შორის, სადისერტაციო ნაშრომებს ასრულებენ, სასწავლო კურსებს ატარებენ. გერმანელ კოლეგებთან კავშირები, თავის მხრივ, ქართველი აუდიოლოგების/ოტოლოგების პროფესიული დონის ამაღლებას უწყობენ მნიშვნელოვნად ხელს.

სმენის სისტემის ფიზიოლოგიის, აუდიოლოგიის, აუდიონევროლოგიის განხრით იყო 15 დისერტაციის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი. მათგან ოთხი გერმანელების მიერ იყო შესრულებული და გერმანიაშივე (მაგდებურგი, დრეზდენი) დაცული. მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ *ირინა ბურძგლამ* ძირითადად თბილისში, ნაწილობრივ დრეზდენში მოპოვებულ მასალაზე დისერტაცია გერმანულ ენაზე შეას-

რულა და გერმანიაშივე დაიცვა. *ზურაბ ქვეანიშვილი* იმ დისერტაციის თანახემდღვანელი იყო.

იყო *Journal of Georgian Medicine*-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. ამჟამად არის სარედაქციო საბჭოს წევრი ჟურნალებისა: *Georgian Medical News* და *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია*. არის აგრეთვე *The Open Otorhinolaryngology Journal*-ის – დარგის ერთ-ერთი უპირველესი საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო და მრჩეველთა საბჭოს წევრი.

სასმენი აპარატების სისტემატური დანერგვა საქართველოში *ზურაბ ქვეანიშვილს* უკავშირდება. გერმანელ კოლეგებთან მისი ურთიერთობის და ერთობლივ ნაშრომთა რაოდენობის და ხარისხის გათვალისწინებით, ამასთან აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის მაღალი საერთაშორისო რეპუტაციიდან გამომდინარე, სასმენი აპარატების უმსხვილესმა გერმანულმა კომპანია *Kind-Hörgeräte*-მ ფილიალი კავკასიის მასშტაბით ცენტრის ბაზაზე გახსნა, ამასთან საქართველოში, სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, თავად გერმანიასთანაც შედარებით, პროდუქციაზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დააწესა. გერმანელ აუდიოლოგებთან წარმატებულ ურთიერთობათა გათვალისწინებითვე, კოხლეარულ იმპლანტთა მწარმოებელმა გერმანულ-ავსტრიულმა კომპანია *MedEl*-მა პარტნიორული კავშირი კავკასიაში შერჩევითად აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრთან დაამყარა, ამასთან იმპლანტებზე საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ასევე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დააწესა. იმპლანტაციისათვის სმენადაქვეითებულთა კონტინენტის შერჩევა, იმპლანტის პროგრამირების და რეგულირების პროცესი აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში *ზურაბ ქვეანიშვილის* მეთვალყურეობით წარმოებს. შესაბამისად, ცენტრი ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში, რომლის მიხედვით იმპლანტი საქართველოში ყოველწლიურად ათეულობით სმენადაქვეითებულ ბავშვს უფასოდ ან ნახევარფასში გამოეყოფა.

როგორც სასმენ აპარატთა შერჩევა-მორგების, ისე კოხლეარულ იმპლანტთა დარეგულირების სფეროში საერთაშორისო დონე საქართველოში სწრაფად იქნა მიღწეული. პროგრესი მნიშვნელოვანწილად სმენის პაბილიტაციის/რეპაბილიტაციის საკითხებისადმი აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრისთვის, კერძოდ, *ზურაბ ქვეანიშვილისათვის* ნიშანდობლივ ფიზიოლოგიურ მიდგომებს უკავშირდება. პრობლემათა ფიზიოლოგიურ ასპექტებში განხილვის გამო, *ზურაბ ქვეანიშვილის* ხელმძღვანელობით აუდიოლოგიური/ვესტიბულოლოგიური პროცედურები ცენტრში მაღალ დონეზე ტარდება. ცენტრმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დანერგვა პრაქტიკაში ობიექტური აუდიომეტრია – სმენის ფუნქციის გამოკვლევა სმენის გამოწვეული პოტენციალების

კომპიუტერული რეგისტრაციის მეთოდით. საქართველოში პირველმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ტვინის ღეროს სმენის პასუხის კომპიუტერული ჩანაწერებით სმენის ინტრა- და რეტროკოხლეარულ პათოლოგიათა დიფერენცირება. ცენტრი ქვეყნის ასევე ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც კომპიუტერების გამოყენებით ვესტიბულარული პათოლოგიები დიაგნოსტირდება, სმენის დაქვეითების, ტინიტუსის ანუ ყურის წუილის სპეციფიკური, ხშირად წარმატებული მკურნალობა ხორციელდება, შიგნითა ყურის დაზიანებისას პათოლოგიური პროცესის უარყოფითი დინამიკა პრევენტირდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრ, პროფ.

ზურაბ ქევანიშვილი

30.12.2019

Desktop: Akademia_2018; file: (a) kevan_CV_2018. pp 1-6: new, 2019 CV version; p. 7: the letter to Dato Gagua; pp 8-13 – older, 2018, CV version; (b) kevan_CV_2018_B. pp 1-6: new, 2019 CV version only.

datogagua2009@gmail.com

ZuKe CV

ბატონო დათო,

წარმოგიდგენთ ჩემი CV-ის ქართულ ვერსიას. მადლობელი ვიქნები, მესიჯის მიღებას ტელეფონით თუ დამიდასტურებთ: 223 13 16 (ყოველდღე, მათ შორის პირველშიც, სამსახურში ვარ). უახლოეს მომავალში, იმედი მაქვს, მოგაწვდით წლის ანგარიშსაც და CV-ის ინგლისურ ვერსიასაც. ვსარგებლობ შემთხვევით და გილოცავთ დამდეგ 20+20=2020-ს.

პატივისცემით,

ზუქე

30.12.2019

ზ უ რ ა ბ ქ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს

Curriculum Vitae

დაიბადა 1941 წელს 15 მარტს თბილისში. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, 1965 წელს წარჩინებით – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1965-1968 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1969 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში მეცნიერ-მუშაკად, ელექტროფიზიოლოგიური განყოფილების გამგედ (1975), დირექტორად (1989). პარალელურად მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ოტორინოლარინგოლოგიის კათედრაზე როგორც დოცენტი (1979), როგორც პროფესორი (1983), აგრეთვე *ივანე ჯავახიშვილის* სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კურსზე როგორც პროფესორი (1996). მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია 1969 წელს, დოქტორისა – 1982 წელს დაიცვა. საკანდიდატო დისერტაციის მიზანს თავის ტვინის ჰემისფეროთა ურთიერთობებში კორძიანი სხეულის მნიშვნელობის გარკვევა წარმოადგენდა. სადოქტორო დისერტაცია ადამიანის სმენის გამოწვეული პოტენციალების შესწავლას მიეძღვნა. 1979 წელს უფროსი მეცნიერი მუშაკის, 1983 წელს – დოცენტის, 1985 წელს – პროფესორის წოდება მიენიჭა. 2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2018 წელს ნამდვილ წევრად იქნა არჩეული. წარმატებული სამეცნიერო, სამედიცინო, პედაგოგიური მუშაობისთვის 1986 წელს საპატიო ნიშნის ორდენით, 2001 წელს – ღირსების ორდენით, 2017 წელს – საუკუნის ვარსკვლავის მედლით დაჯილდოვდა.

არის სამი მონოგრაფიის თანაავტორი: (1) Мосидзе ВМ, Рижинашвили РС, Тотибадзе НК, Кеванишвили ЗШ, Акбардия КК. *Расщепленный мозг*. Тбилиси, 1972; (2) Хечинашвили СН, Кеванишвили ЗШ. *Слуховые вызванные потенциалы человека*. Тбилиси, 1985; (3) ჯაფარიძე შ, გამგებელი ზ, მიმინოშვილი დ, ქევანიშვილი ზ. *კონსტრუქციული იმპლანტაცია საქართველოში: თეორიული და პრაქტიკული ძაღლისხმეუბი*. თბილისი, 2011. პირველი მონოგრაფია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის *ივანე თარხნიშვილის*, მეორე – *ივანე ბერიტაშვილის* სახელობის პრემიით დაჯილდოვდა. მესამე მონოგრაფიას, *ზურაბ ქევანიშვილის* ავტორობით/თანაავტორობით შესრულებულ, უპირატესად ცენტრალურ საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებულ 72 ნაშრომთან კომბინაციაში 2012 წელს საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭა. არის აგრეთვე

სამი ბუკლეტის და 396 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი/თანაავტორი. ნაშრომთაგან 187 ინგლისურ, 103 – რუსულ, 72 – ქართულ, 33 – გერმანულ, ერთი – ბულგარულ ენაზე არის გამოქვეყნებული: შესაბამისად 47.2%, 26.0%, 18.2%, 8.3%, 0.3%. ჯამში 220 ინგლისურ- და გერმანულენოვანი სტატიიდან ბევრი მაღალი იმპაქტ-ფაქტორის საერთაშორისო გამოცემებში არის წარმოდგენილი, მათ შორის, ჟურნალებში: *Nature (London)*, *Electroencephalography and Clinical Neurophysiology*, *Acta Otolaryngologica (Stockholm)*, *Scandinavian Audiology*, *Physiology of Behaviour*, *Minerva Otorinolaryngologica*, *British Journal of Audiology*, *HNO*, *HNO Praxis*, *Archives of Oto-Rhino-Laryngology*, *ORL*, *Audiologische Akustik*, *Seizure*, *Epilepsia*, *Otolaryngology of Poland*, *Audiology*, *Iranian Audiology*, *European Journal of Neurology*, *Laryngo-Rhino-Otology*, *American Journal of Otology*, *Acta Neurologica Scandinavica*, *Medical Hypotheses*, *Journal of Hearing Sciences*, *Otorhinolaryngology and Phoniatry*, *Ear and Hearing*, *Issues of Theoretical and Clinical Medicine*, *Experimental and Clinical Medicine*, *HÖRaspekte*, *Hearing Research*. საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის დაჯილდოებულია *International Science Foundation*-ის პრემიით (*ჯორჯ სოროსის ფონდი*). *ზურაბ ქვეანიშვილის* თანაავტორობით რუსულ ენაზე შესრულებული ბევრი სტატია რუსეთის ასევე ცენტრალურ სამეცნიერო გამოცემებში არის დასტამბული. მისი მეცნიერული საქმიანობის პროდუქცია – დისერტაციები, მონოგრაფიები, ბუკლეტები, სტატიები – სმენის სისტემის ფიზიოლოგიის და/ან გამოყენებითი ფიზიოლოგიის სფეროს განეკუთნება.

ზურაბ ქვეანიშვილის ხელმძღვანელობით, უშუალო მონაწილეობით და რედაქტორობით ითარგმნა და დასასტამბად გამზადდა *ჰელბრიუგესა* და თანაავტ. წიგნი – *ბავშვის ცხოვრების პირველი 365 დღე*. ნათარგმნმა პოპულარობა მოიპოვა და საქართველოს წიგნის ბაზარზე ბესტსელერად იქცა. მ წიგნის თარგმანი მრავალ სხვადასხვა ენაზე არსებობს. მიუნხენში ჩატარებულ ნათარგმნთა გამოფენა-პრეზენტაციაზე ქართული გამოცემა ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა მიჩნეული. *ზურაბ ქვეანიშვილი* იყო აგრეთვე რედაქტორი სიმონ ხეჩინაშვილის მონოგრაფიისა *Вопросы аудиологии*.

სისტემატურად მონაწილეობს გრანტულ პროექტებში. ანნ არბორის (მიჩიგანი) უნივერსიტეტის კრესგის სახელობის სმენის კვლევის ინსტიტუტთან თანამშრომლობით თბილისის აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა *GRDF/CRDF*-ის გრანტული თემა სახელწოდებით: *Prevention of Aminoglycoside-Induced Ototoxicity by Vitamin E*. დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიოლოგიის ლაბორატორიასთან კოოპერაციაში ასევე მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა კომპანია *Volkswagen*-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული თემა: *The*

Bounce Phenomenon and the Tinnitus: Interrelationship and the Mechanisms Involved. ბაუნსის (არეკვლის) პრობლემებზე მისი თანაავტორობით 19 ნაშრომი შესრულდა: 17 – ინგლისურ, თითო-თითო – ქართულ და რუსულ ენაზე. ინგლისურენოვანი ერთი სტატია *Hearing Research*-ში – პროფილის წამყვან საერთაშორისო ჟურნალში დაისტამბა. პარალელურად ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტში *ახალშობილთა და პირველკლასელთა სმენის გამოკვლევა*. გერმანელი და პოლანდიელი კოლეგების მიერ საჩუქრად გადმოცემული სმენის სკრინინგის აპარატების გამოყენებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველად საქართველოში ინიცირდა სკრინინგული ტიპის სმენის მასობრივი გამოკვლევები ბავშვებში. 2006 წლიდან უკვე 400.000-ზე მეტ ახალშობილს და პირველკლასელს აქვს ჩატარებული აუდიოსკრინინგი თბილისში. სმენის დაქვეითების ადრეულ გამოვლენას და პაბილიტაციის/რეჰაბილიტაციის დროულ დაწყებას ბავშვის განვითარებისთვის და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. პროექტის თემატიკა, შესაბამისად, აქტუალურია, საერთოდ, სმენაჩლუნგობის მაღალი სიხშირის გამო საქართველოსთვის, განსაკუთრებით. სკრინინგის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში სმენა ახალშობელებში გამოწვეული პროტენცილების კომპიუტერული ჩანაწერებით, პირველკლასელებში – ტონალური აუდიომეტრით დეტალიზდება. პათოლოგიის დადასტურების შემთხვევაში სმენა პრეცესიულად გამოიკვლევა და კონსტანტირებული სურათის გათვალისწინებით პაბილიტაციის/რეჰაბილიტაციის გეგმა მუშავდება, სასმენი აპარატი თუ კონსტრუქციული იმპლანტი შეირჩევა და პროგრამირდება. სმენის სკრინინგის პრობლემებზე *ზურაბ ქვეანიშვილის* თანაავტორობით 17 ნაშრომი არის შესრულებული: 9 – ინგლისურ, ოთხი – ქართულ, ორ-ორი – გერმანულ და რუსულ ენაზე.

არის სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ივანე ბერიტაშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების მმართველი საბჭოს წევრი, ერლანგენის (გერმანია) ფიზიკურ-სამედიცინო საზოგადოების (*Die Physikalisch-Medicinische Societät zu Erlangen*) წევრ-კორესპონდენტი (1988), ოტორინოლარინგოლოგთა მსოფლიო კოლეგიის (*Collegium Oto-Rhino-Laryngologicum Amicitiae Sacrum*) წევრი (1994), ამერიკის აკუსტიკური საზოგადოების (*Acoustic Society of America, ASA*) ასოცირებული წევრი (1995), თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (*International Brain Research Organization, IBRO*) საქართველოს ფილიალის მმართველი საბჭოს წევრი (1996), გერმანიის ოტორინოლარინგოლოგთა, თავისა და კისრის ქირურგთა საზოგადოების (*Die Deutscher*

Gesellschaft für Hals-Nasen-Ohren-Heilkunde, Kopf- und Hals-Chirurgie) წევრ-კორესპონდენტი (1998), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ოტოლოგიაში (2004), თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამედიცინო მრჩეველი (2009), ჰალბერშტადტის (გერმანია) ოტორინოლარინგოლოგთა საზოგადოების (*Der Verein zur Vissenschaftlichen Förderung der Hals-, Nasen- und Ohrenheilkunde e.V*) საპატიო აკადემიური წევრი (2011). აქვს მჭიდრო კავშირები საზღვარგარეთის აუდიოლოგებთან. ხშირად და ხანგრძლივი პერიოდებით იმყოფება სამეცნიერო მივლინებებით გერმანიაში. ატარებს ერთობლივ კვლევებს. უმუშავია ქალაქებში: მაგდებურგი, ერლანგენი, ბერლინი, ერფურტი, დრეზდენი, მიუნხენი. საზღვარგარეთელ, ძირითადად გერმანელ კოლეგებთან თანაავტორობით 142 ნაშრომი აქვს შესრულებული. მათგან 74 – ინგლისურ, 32 – გერმანულ, 22 – რუსულ, 16 – ქართულ ენაზე არის გამოქვეყნებული: შესაბამისად 51.4%, 22.2%, 15.3%, 11.1%. უშუალოდ ზურაბ ქვეანიშვილის მიერ ან თანამომხსენებლის სტატუსით მისი აქტიური ჩართულობის ფონზე კვლევის შედეგები ბევრ საერთაშორისო კონფერენციას, სიმპოზიუმს, კონგრესს, ყრილობას მოხსენდა, მათ შორის, ქალაქებში: კაუნასი, ვარნა, სოფია, ჰალე, დრეზდენი, აიზენახი, ილმენაუ, ვაიმარი, პოზნანი, პრატა, მაგდებურგი, ერფურტი, კრაკოვი, ბუდაპეშტი, სუზდალი, მანჰაიმი, ინსბრუკი, ანტვერპენი, ჰაიდელბერგი, ვენა, ბად ბერკა, ბარსელონა, ჰალბერშტადტი. რამდენიმე სამეცნიერო შეკრების, მათ შორის, გერმანიაში ჩატარებულის, ორგანიზატორი/კოორდინატორი თავად იყო. მის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ორი მასშტაბური სიმპოზიუმი შედგა გერმანიაში: ერთი – მაგდებურგში 2001 წელს, მეორე – დრეზდენში 2006 წელს. მისი მოწვევით გერმანელი სპეციალისტები რეგულარულად სტუმრობენ თბილისს, ერთობლივ კვლევებში მონაწილეობენ, სამეცნიერო, მათ შორის, სადისერტაციო ნაშრომებს ასრულებენ, სასწავლო კურსებს ატარებენ. გერმანელ კოლეგებთან კავშირები, თავის მხრივ, ქართველი აუდიოლოგების/ ოტოლოგების პროფესიული დონის ამაღლებას უწყობენ მნიშვნელოვნად ხელს.

სმენის სისტემის ფიზიოლოგიის, აუდიოლოგიის, აუდიონევროლოგიის განხრით იყო 15 დისერტაციის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი. მათგან ოთხი გერმანელების მიერ იყო შესრულებული და გერმანიაშივე (მაგდებურგი, დრეზდენი,) დაცული. მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ *ირინა ბურძგლამ* ძირითადად თბილისში, ნაწლობრივ დრეზდენში მოპოვებულ მასალაზე დისერტაცია გერმანულ ენაზე შეასრულა და გერმანიაშივე დაიცვა. ზურაბ ქვეანიშვილი იმ დისერტაციის თანახელმძღვანელი იყო.

იყო *Journal of Georgian Medicine*-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. ამჟამად არის სარედაქციო საბჭოს წევრი ჟურნალებისა: *Georgian Medical News* და *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია*. არის აგრეთვე *The Open Otorhinolarynhology Journal*-ის – დარგის ერთ-ერთი უპირველესი საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო და მრჩეველთა საბჭოს წევრი.

სასმენი აპარატების სისტემატური დანერგვა საქართველოში *ზურაბ ქვეანიშვილს* უკავშირდება. გერმანელ კოლეგებთან მისი ურთიერთობის და ერთობლივ ნაშრომთა რაოდენობის და ხარისხის გათვალისწინებით, ამასთან აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის მაღალი საერთაშორისო რეპუტაციიდან გამომდინარე, სასმენი აპარატების უმსხვილესმა გერმანულმა კომპანია *Kind-Hörgeräte*-მ ფილიალი კავკასიის მასშტაბით ცენტრის ბაზაზე გახსნა, ამასთან საქართველოში, სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, თავად გერმანიასთანაც შედარებით, პროდუქციაზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დააწესა. გერმანელ აუდიოლოგებთან წარმატებულ ურთიერთობათა გათვალისწინებითვე, კოხლყარულ იმპლანტთა მწარმოებელმა გერმანულ-ავსტრიულმა კომპანია *MedEl*-მა პარტნიორული კავშირი კავკასიაში შერჩევითად აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრთან დაამყარა, ამასთან იმპლანტებზე საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ასევე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დააწესა. იმპლანტაციისათვის სმენადაქვეითებულთა კონტინგენტის შერჩევა, იმპლანტის პროგრამირების და რეგულირების პროცესი აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში *ზურაბ ქვეანიშვილის* მეთვალყურეობით წარმოებს. შესაბამისად, ცენტრი ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში, რომლის მიხედვით იმპლანტი საქართველოში ყოველწლიურად ათეულობით სმენადაქვეითებულ ბავშვს უფასოდ ან ნახევარფასში გამოეყოფა.

როგორც სასმენ აპარატთა შერჩევა-მორგების, ისე კოხლყარულ იმპლანტთა დარეგულირების სფეროში საერთაშორისო დონე საქართველოში სწრაფად იქნა მიღწეული. პროგრესი მნიშვნელოვანწილად სმენის ჰაბილიტაციის/რეაბილიტაციის საკითხებისადმი აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრისთვის, კერძოდ, *ზურაბ ქვეანიშვილისათვის* ნიშანდობლივ ფიზიოლოგიურ მიდგომებს უკავშირდება. პრობლემათა ფიზიოლოგიურ ასპექტებში განხილვის გამო, *ზურაბ ქვეანიშვილის* ხელმძღვანელობით აუდიოლოგიური/ვესტიბულოლოგიური პროცედურები ცენტრში მაღალ დონეზე ტარდება. ცენტრმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა პრაქტიკაში ობიექტური აუდიომეტრია – სმენის ფუნქციის გამოკვლევა სმენის გამოწვეული პოტენციალების კომპიუტერული რეგისტრაციის მეთოდით. საქართველოში პირველმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ტვინის ღეროს სმენის პასუხის კომპიუტერული ჩანა-

წერებით სმენის ინტრა- და რეტროკოხლეარულ პათოლოგიათა დიფერენცირება. ცენტრი ქვეყნის ასევე ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც კომპიუტერების გამოყენებით ვესტიბულარული პათოლოგიები დიაგნოსტირდება, სმენის დაქვეითების, ტინიტუსის ანუ ყურის წუილის სპეციფიკური, ხშირად წარმატებული მკურნალობა ხორციელდება, შიგნითა ყურის დაზიანებისას პათოლოგიური პროცესის უარყოფითი დინამიკა პრევენტირდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
პროფ. ზურაბ ქვეანიშვილი 15.10.2018

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ : აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის კანცელარიის გამგე
თაკო ჟვანია